◆ 15 მაისს პოლიციელ!ბმა—ეგოროვმა და ვერჩენკომ პირველ ზღვის პირის ქუჩაზე შეიპყრეს ოსმალეთის ქვეშევრდომი სერგო მანესესოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ჯრ ფუთიანი ტიკი არაყი. ვერჩენკო გაგზავნეს მეორე ოლქის აქციზთა ზედამხედველთან.

◆ 18 მაისს, სჯარსეთის კონსულმა განუცხადა პოლიციას, 12 მაისს, ოთახიდან მომპარეს ერთი რევოლვერი „მაუზერის“ სისტემისა ღირებული 75 მან. თანაშემწის ბინიდან კი ერთი საბანი, ღირებული 8 მან. ექვი მიიტანეს მოსამახურე არსენ მალაქიას ძე გობრონიძეზე, რომელმაც დაკითხვის დროს იუარა. ჩხრეკის დროს არაფერი აღმოსჩენია, ამ საქმის პროტოკოლი გადაეცა მომრიგებელ მოსამართლეს. გობრონიძე თავდებით გაანთავისუფლეს.

◆ 16 მაისს, **მესამე** ზღვის პირის ქუჩაზე სახელოსნოს **პატრონმა**, ოსმალეთის ქვეშევრდომმა ჩიკიროღლიმ განუცხადა პოლიციას, სახელოსნოდან მომპარეს 7 წყვილი დამზადებული ფეხსაცმელი—70 მან. ღირებულიო. ექვით გაჩხრიკეს სპარსეთის ქვეშევრდომი ალი-ხუსინოღლი, რომელსაც აღმოაჩნდა დაკარგული ნივთები. დამნაშავე გამოტყდა დანაშაულში.

◆ **სასამართლო.** მთელი 3 დღის განმავლობაში კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლო არჩევდა ფრიად მძიმე საქმეს, ქ. ფოთის პოლიციის ლ. მარკევიჩის მკვლელობის- და პოლიციელისავე ძაძამიას სასიკვდილოდ დაჭრისას. ბრალს სდებდნენ 4 ახალგაზრდა კაცს: იაგორ ცულაძეს, ლასა მანცკავას, რაჟდენ იმედაშვილს და ნოე ჭატარაიას. მანცკავას იცავდა ნაფიცი ვექილი ნიჟარაძე, პატარაიას ნაფიცი ვექილის თანაშემწე ნ. გაბუნჩია, იმედაშვილს კაპიტანი იაროლსკი, რომელიც დანიშნული იყო დამცველად სასამართლოს მიერ, ძაძამიას კი ნაფიც ვექილის თანაშემწე ჯაჩუხოვი. სამი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განჩინება: ცულაძე დამნაშავედ იქნა

კრედიტი და განკი.

(წვრილი საკრედიტო დაწესებულებების გავრცელების გამო საქართველოში).

(შემდეგი)

ყოველივე საწარმოო დაწესებულებაში მრავალი პირი იღებს მონაწილეობას. საქმის სათავეში სდგას წარმოების პატრონი; მას ექვემდებარებიან მუშები, დაწყებული უბრალო მუშებიდან განვითარებულ მუშებამდე—ინჟინრები, ტეხნიკოსები და სხვა. მრეწველს და მუშებს ჩვენ უწოდებთ მწარმოებელ კლასს. გარდა ამ პირთა, საზოგადოებაში არიან ისეთი პირნიც, რომლებიც წარმოებაში მონაწილეობას არ იღებენ. ამათ უწოდებთ არა მწარმოებელ კლასს. ამ ნაწილს საზოგადოებისას რასაკვირველია ცხოვრება უნდათ. ესენი იკვებებიან მწარმოებელ კლასის შრომათ, აქედან ცხადია ვიწრო დამოკიდებულობა ამ ორ კლასთა შორის.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქონლის გაყიდვის შემდეგ მწარმოებელი იღებს საქონელში ზედ მეტ ღირებულებას. აი ეს ზედ მეტი ღირებულობა ნაწილდება საზოგადოებაში, როგორც მწარმოებელთა ისე არა მწარმოებელ კლასთა შორის. ამ თანხიდან იღებს ყველა თავის წვლილს. საქმის მთავე თავის დახარჯულ თანხის სარგებელს, ზედმეტი ღირებულებითვე იგი ისტუმრებს სახელმწიფო ხარჯებს, აგრედვე მოვალეს (თუ რომ ძირითად თანხაში შედიოდა ნასესხი ფულიც) და სხვებს.

როგორც ვხედავთ, წარმოებაში დახარჯული თანხა მუდმივ ტრიალში არის. ეს თანხის ტრიალი და მწარმოებელ კლასთა შორის ჰქმნის. სხვა ზედ მეტ თანხას, რომელიც წარმოებაში ლება საზოგადოების წევრთა შორის.

სახელმწიფო, ქალაქი, ერობა და სხვა დაწესებულება, რომელიც ჰკვებავს მოსამართლეებს, ადმინისტრაციას, ჯარს, მასწავლებლებს და სხვ., ადგენს დიდ ჯგუფს საზოგადოებისას, რომელიც წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს. ამ ჯგუფის გასასტუმრებელ საჭირო თანხას სახელმწიფო იღებს ზოგს მრეწველისგან და ზოგს მუშის ქირიდან, ე. ი. ეს ფული ჩნდება თანხის წარმოებაში გადატრიალების შემდეგ.

აგრედვე ის პირნი, რომლებიც სცხოვრობენ გასესხებული ფულის სარგებლით, კუპონებით და სხვ., ღებულობენ ფულს ამ თანხის ტრიალის შემწეობით.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ საქონლის გაყიდვის შემდეგ აღებული ფასით მწარმოებელი ჰფარავს ძირითად თანხას და იღებს კიდევ ზედ მეტ ღირებულებას. ერთი ნაწილი ამ ზედ მეტი ღირებულებისა აკმაყოფილებს დანარჩენ წევრებს საზოგადოებისას, მეორე ნაწილი კი რჩება საქმის მოთავეს. ამ თანხიდან ზოგს ფულს ივითონ და თავის ოჯახში ხარჯავს ცხოვრებისათვის საჭირო საგნებზე და ზოგს კი ინახავს წარმოების გასაფართოებლად.

გარდა საქმის მოთავისა, წარმოებაში მუშებიც იღებენ მონაწილეობას. ესენი თავიანთ შრომაში იღებენ ქირას. ამათი მოქმედებაც იყოფა ორ კატეგორიად—ერთის მჯირითი ნაწილი სწარმოებენ, მეორე მხრივ ზრუნავენ ოჯახზე. როგორც მუშა იგი ეკუთვნის მწარმოებელ კლასს და როგორც წევრი ოჯახისა იგი არის მომხმარებელი.

როგორც ვხედავთ ნაწილი საზოგადოების წევრებისა ერთ და იმავე დროს შეადგენს მწარმოებელსაც და მომხმარებელსაც. ნაწილი—მართო მომხმარებელია. აი ამ საზოგადოებაში იბადება და არსებობს საკრედიტო მეურნეობა.

საწარმოო კრედიტს ექმნება ალაგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ვალი აღებულია საწარმოოდ და არა ოჯახში მოსახმარებლად.

ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ კრედიტის საშუალებით ხდება ფულის მუდმივი და განუწყვეტელი ტრიალი სხვა და სხვა წარმოებაში. ფულის ტრიალი კი შეძლებას აძლევს მევალეს ისარგებლოს სარგებლით და მოვალესაც შეუძლიან საკუთარი საქმე აწარმოოს. ამ ფულის ტრიალზედვე არის დამყარებული კრედიტი (ნდობა).

კრედიტის არსებობისთვის საჭიროა სამ ნაირი პირობა: 1) საჭიროა, რომ გამსესხებელს (მევალეს) ჰქონდეს დროებით ან მუდმივ თავისუფალი თანხა, 2) მოვალის საწარმოო დაწესებულებამ უნდა შესძლოს ნასესხი ფულის გადატრიალება დანიშნულ ვადამდის, რომ ვადაზე გაისტუმროს ვალი, 3) თანხის ტრიალი წარმოებაში სარგებლო!ას უნდა აძლევდეს როგორც ფულის გამსესხებელს (მევალეს), ისე ვალის ამღებს (მოვალეს).

გავშინჯოთ ყველა ეს პირობები კრედიტისა ცალ-ცალკე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პირობები მუდმივი თანამგზავრები არიან კრედიტისა.

თავისუფალი თანხა. ჰროფესორი კაუფმანი თავისუფალ თანხას უწოდებს იმ ფულს, რომელიც მწარმოებელს დროებით ან სამუდამოდ არა სჭირდება თავის საქმეში. თავისუფალი თანხა სხვა და სხვა ხარისხისაა. ეს ხარისხი განისაზღვრება იმ დროთი, რამდენ ხანსაც არის თანხა თავისუფალი. წარმოების დამთავრების შემდეგ პატრონის ხელში რჩება ორ გვარი თანხა: დაბრუნებული ძირითადი თანხა და ზედმეტი ღირებულება. ეს ორგვარი თანხა მწარმოებელს დროებით თავისუფალი აქვს. ზედმეტი ღირებულებიდან მწარმოებელი ჰფარავს ოჯახის, სახელმწიფოს და სხვ. ხარჯებს და შემდეგში მას რჩება წმინდა მოგება. აი ეს წმინდა მოგება, რომელიც მწარმოებელმა არ იცის დროებით რაში დახარჯოს, არის **სრული თავისუფალი** თანხა.

უეჭველია, მსხვილ მწარმოებლებს წმინდა მოგება ბევრი რჩებათ. აი ამ გვარი სრული თავისუფალი თანხა დიდი ხნობით ან მუდმივ შეიძლება გაიცეს სესხად და დატრიალდეს სხვის წარმოებაში. ეს თანხა შეადგენს **სამუდამო** სესხს (вѣчныя ссуды).

გარდა ამ ზედმეტი მოგებისა, მწარმოებელს აქვს სხვა და სხვა რიგი თანხებისა, რომლის გაცემაც შეუძლიან, მაგრამ განსაზღვრული ვადით ან უვადოდ. მწარმოებელს აქვს დაბრუნებული ძირითადი თანხა და ის ნაწილი ზედმეტი ღირებულობისა, რომელიც ოჯახში მოსახმარებლად, სახელმწიფო ხარჯების გასასტუმრებლად და წარმოების გასაფართოებლად აქვს. დაბრუნებული ძირითადი თანხა და წარმოების გასაფართოებელი ფული მწარმოებელს შეუძლიან განსაზღვრულ ვადით გაასესხოს, რადგანაც მას გამოსანგარიშებული აქვს ის დრო, სადმდინაც თავისუფალია ეს თანხა წარმოებაში. ამ ნაირი დროებით თავისუფალი თანხებიდან სდგება ეგრედწოდებული „ვადიანი სესხი“ (Срочныя ссуды).

ჩვენ დავგვრჩა კიდევ მწარმოებლის ოჯახში მოსახმარებელი ფული, სახელმწიფო გადასახადები მოულოდნელ შემთხვევისათვის წარმოებაში დასახარჯი ფული და სხვ. აი ამ გვარი თანხა, რომელიც მწარმოებელს შეიძლება ყოველ წამში დასჭირდეს, შეადგენს „უვადო სესხს“ (Безсрочныя ссуды).

აქამდინ ჩვენ მხედველობაში გვქონდა მევალე, რომელიც აწარმოებდა რაიმე საწარმოო დაწესებულებას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მწარმოებელს აქვს სამ გვარი თანხა გასასესხებლად: თანხა, რომელიც მუდამ თავისუფალია (вѣчныя ссуды), ვადიანი (срочныя) და უვადო (безсрочныя). ამ გვარივე თანხებს ჩვენ ვპოულობთ არა მწარმოებელ კლასთა შორისაც.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საზოგადოებაში არიან ისეთი პირნი, რომელნიც, თუმცა წარმოებაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ იძენენ თანხას მწარმოებლის შექმნილ ზედმეტ საფასურიდან. ზოგს ამ ნაირ პირთ ისეთი ალაგი უჭირავთ საზოგადოებაში, რომელთაც საკმარისი დიდი თანხები აქვთ. ცხადია, მომეტებული რიცხვი ამათი თანხისა მუდამ თავისუფალია, რადგანაც ამათ შეძლება აქვთ ყოველდღიური მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილონ და ზედმეტი დარჩეთ. აი ესეთი პირნი, რომ უქმად არ დააყენონ თანხა, აძლევენ სესხად მწარმოებელს, რომელიც ამ თანხას წარმოებაში ატრიალებს და უბრუნებს ვალს სარგებლით. ხშირად ამგვარ პირთ საზოგადოებისას მუდმივი თანხა აქვთ და სცხოვრობენ სარგებლით. მაშასადამე აქაც ყოფილა მუდმივი გასასესხებელი თანხა (вѣчныя ссуды).

ასეთივე მუდმივი თანხა მოიპოვება ღარიბ მუშა ხალხშიაც. მუშა გაჭირვებით ანარჩუნებს ხშირად წვრილ-წვრილ ფულს და ინახავს შაი დღისათვის. ეს ფული მიაქვს შესანახად სახელმწიფო შემნახველ კასაში, თუ ახლო საკრედიტო დაწესებულება არ არის. რადგანაც მუშამ არ იცის, თუ როდის დაადგება გაჭირვების დღე, ამიტომ ამ ფულს მხოლოდ იმ პირობით აძლევს კასას, თუ იგი დაუბრუნებს პირველ მოთხოვნილებისთანავე. კასიდან მუშა ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ რომ მას გაჭირვება დაადგა. თუ ეს შემთხვევა არ იქნება, კასაში ფული დიდხანს დარჩება. როდესაც კასას მრავალ ამნაირ ფულის შემნახველებთან აქვს საქმე, მაშინ მოულოდნელ შემთხვევას ხშირად არა აქვს ადგილი და კასიდან ფული ხშირად არ გადის. ამიტომ ეს თანხაც შეიძლება მუდმივ თავისუფალ თანხად ჩაითვალოს.

ხშირად კიდევ მუშა ნელა ეკონომიურად დაინვრდება და თავის შენახულ ფულს რაიმე დანიშნულებას აძლევს. მაშინ მას შენახული ფული ვადიან სესხად გადააქვს, რადგანაც უფრო მეტს პროცენტებს იღებს.

(შემდეგი იქნება)

ზ. გოგებაშვილი.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 605.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ
ᲛᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ
ᲛᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲛᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲙᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

უკრაინელთა უნივერსიტეტი.

ვენა. უკრაინელთა პარტიამ, რომელიც დეპუტატთა პალატაში მოქმედებს, გადასწყვიტა, ჩვენი საქმე არ არის იმპერატორის ბრძანების განხილვა, რომელიც გვპირდება, ამ ათ წელიწადში უნივერსიტეტს დაგიარსებთო.

უკრაინელთა ეროვნულმა ლვოვის საბჭომ გადასწყვიტა, ყველა პროექტი უარჰყავით, თუ საუნივერსიტეტო ქალაქად ლვოვი არ იყოს დასახელებულიო.

ალბანეთი.

სალოკინი. ალბანელები თავს დასხმიან იტალ. ტელეგრაფის გაფუჭების გამო, ჯერ ცნობები არ მოსულა,

პროფესორის გაძევება.

ტრიენტი. საპოლიტიკო მოსაზრებათა გამო ავსტრიიდან გაუძევებიათ რომის უნივერსიტეტის პროფესორი სახელგანთქმული სოციოლოგი სიგელე.

მაროკოს ამბავი.

ფესი. შერიფები დაითხოვეს. თუ ადგილობრივი მცხოვრებნი მოისურვებენ შერიფთა ჯარში შესვლას, ერთგულება უნდა შეჰფიცონ ხონთქარსა და საფრანგეთსა.

საფრანგეთის ფლოტი.

პარიზი. „მატენის“ სიტყვით, საფრანგეთს გადაუწყვეტია ხმელთაშუა ზღვაში ისეთი ფლოტი იყოლიოს რომ, ავსტრიისა და იტალიის შეერთებულ ფლოტსა სჭარბობდეს.

ინგლისის მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. სანავთსადგურო გამგეობას მუშები შემოჰხვევიან და სამუშაოს ითხოვენ, შინაგან საქმეთა სამინისტროში, შუადღისას გაფიცვის მოთავეებს მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ჰქონდათ.

ბელგიის ამბავი.

ბრიუსელი. სერენგის ოლქში არჩევნების შედეგის გამო 1300 მუშა გაფიცულა. ლიეჟში არეულობას მოელოდნენ და შესაფერი ზომები მიიღეს. გაზეთების სიტყვით, შუაგულ ქალაქში ბევრგან ფანჯრები ჩაულეწიათ. არეულობის დროს 5 კაცი დაღუპულა.

რ უ ს ე თ ი

ლენის ამბის გამო.

ბოდაიბო. საგანგებო საქმეთა გამომძიებელი გენერალ-გუბერნატორთან ერთად ჩამოვიდა ლენის ამბების გამოსაძიებლად.

რედაქტორების დასჯა.

მოსკოვი. გაზ. „კაპეიკის“ რედაქტორს ანზიმიროვს 158 ნომერში დაბეჭდილ წერილ „ზაბროდილასათვის“ ერთი წლით ციხე გადაუწყვიტეს, პასუხისმგებელი რედაქტორი 300 მანეთით დაჯარიმეს. გაზეთი სამუდამოდ დაჰკეტეს.

რ უ ს ე თ ი

პრემიერის წინააღმდეგ.

ამას წინად მთავრობის დაჟინებით სახელმწიფო სათათბიროს განსაკუთრებული თანხა გადასდო ფლოტის გასაძლიერებლად, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბიუროკრატულს წრეებში. ამ გარემოებით ისარგებლა რამდენიმე პირმა ტ პრემიერის წინააღმდეგ ამხედრდა. „უტრო როსიის“ კორესპონდენტი ამ საკითხის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

როდესაც პრემიერს გაუგია, რომ თანხის გადადებას უკმაყოფილება გამოუწვევია საზოგადოების სხვა და სხვა წრეებში, უთქვამს: შესაძლებელია უფრო მოხერხებული ყოფილიყო მცირე თანხით დავკმაყოფილებულიყავით იმ იმედით, რომ ზედმეტს შემდეგ მივიღებდით. როგორც ამბობენ, პრემიერს ისიც მოუხსენებია, რომ მემარჯვენე პრესაც კი, მაგ. „ნოვოე ვრემია“ თანხის გადადების წინააღმდეგი იყოო. თანხის გადადების მომხრეებმა ისარგებლეს ამ არგუმენტით. მათ განაცხადეს, რომ ყველაფერი ეს გუჩკოვის ნამოქმედარია, რომელსაც ვითომ ხელში უჭერია „ნოვოე ვრემია“. თითქოს გუჩკოვსა და პრემიერს შორის მოხდარიყოს თათბირი, რის შემდეგაც კოკოცევს თანხმობა უნდა განეცხადებინოს მცირე თანხის გადადების შესახებ, მიუხედავად ზევიდან ნაბრძანებისა.

ასეთმა ინიმა შესაფერი გავლენა მოახდინა და დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პრემიერის წინააღმდეგ. გამოითქვა აზრი, რომ მოახლოებული არჩევნების გამო პრემიერობისა და ფინანსთა მინისტრობის ერთ ხელში შეერთება მოუხერხებელიაო. ამბობენ, რომ უმაღლეს წრეებში უკვე დანიშნულია შესაფერი კანდიდატი—ესაა ს. მანუჭინი.

ამავე დროს ილიშქრებენ შინაგან საქმეთა მინისტრის ა. მაკაროვის წინააღმდეგ, რომლის მოადგილედაც ასახელებენ ჩერნიგოვის გუბერნატორს მაკლაკოვს.

უცხოეთი

ფრენა.

ჰაერში ფრენა თან და თან წინ მიიწევს, როგორც ტექნიკის მხრით, ისე იმ იშვიათი გამბედაობითა და თავ-დადებით, რომელისაც იჩენენ ავიატორები. ფრანგული გაზ. „ჟურნალი“ ასწერს ბელგიელი ავიატორის კრომბეზის შესანიშნავ მოგზაურობას ბელგიის სანაპიროებიდან ინგლისამდე და უკან დაუსვენებლად, ე. ი. მიწაზე ჩამოუსვლელად.

კრომბეზი—ამბობს ხსენებული გაზეთი—შვილია გამოჩენილი სპორტსმენისა და თვითონაც გამბედავი მფრინავია. იგი აფრინდა დეპერდუსენის აპარატით დუნკერკსა და ოსტანდეს შუა, გადაევლო კალეს სრუტეს, თავს დასტრიალებდა დუკრს, სადაც მან ინგლისელთა მისალმების ბარათები ჩამოყარა და გამოჰრუნდა მიწაზე ჩამოუშველებლად ისევ ბელგიისაკენ. ასე რომ 230 კილომეტრი მან გაჰფრინა 2 საათსა და 20 წ. 1.500 ადლის სიმაღლეზე. ეს მოგზაურობა მითია შესანიშნავი, რომ იგი პირველია ამ მხრით, ე. ი. მისვლა-მოსვლა შეუსვენებლად.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა მიერ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ო ი პიესსა: **„მზის დაბნელება საქართველოში“** ხხიარული ორიგინალური კომედიამ სამ მოქ. ზ. ანტონოვისა და „ლალატი“ შარჟი 2 სურ. გოლასი. უმთავრეს როლებს ორთავ პიესებში შეასრულებენ: ელ. ჩერქეზიშვილი, ა. პიერეტტა, ვ. აბაშიძე, გ. არადელიშხნელი, კ. მესხი, გ, გედევანიშვილი და სხვ.

სახალხო სახლი. დღეს სახალხო სახლში, ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ-ნ ეფემია მესხისა და ალექ. იმედაშვილის მონაწეობით წარმოდგენილ იქნება „მეზობლები“ დრამა 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

ჭიათურა. კვირას, 13 მაისს, გვეწვია ვასო აბაშიძე და მის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „პეპო“ და „ექიმთან“. ორივე პიესამ შესანიშნავად ჩაიარა.

რაღა თქმა უნდა, რომ ვასო აბაშიძე არუთინ ზიმზიმოვი იყო. თითოეული სიტყვა, მიხვრა-მოხვრა მაყურებელთა შორის გამოუთქმელ სიამოვნებას იწვევდა. საზოგადოებამ იგი მხურვალე ტაშის ცემით დაჯილდოვა. მოხდენილი პეპო იყო ბ-ნი ს ტარუაშვილი; მშვენიერი ეფემია იყო, ქ-ნი ნატაშა ჯავახიშვილი. კარგი იყო გიქოს როლში ბ-ნი შალიკაშვილი.

მეორე დღეს ვასო აბაშიძისავე მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „დავა“, „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“ და „ბებრის საღერღელი“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. მაგრამ უამინდობის გამო საზოგადოება კი ძალიან ცოტა დაესწრო.

კვირას, 20 მაისს, წარმოადგინეს „გაცრუებული იმედები“ და დ. ბურჯულაძის ახალი ვოდევილი: „არისტოკრატია“. პირველ პიესაში კარგი იყო—ბ-ნი გ. ნუცუბიძე, ეს სცენის მოყვარე უხვად არის დაჯილდოვებული სომხის როლებისათვის.

კარგი იყო—ბ-ნი ბენ. ლეჟავა, მას ცოტაოდენი წინსვლა ეტყობა.

კვირას ითამაშებენ გედევანიშვილის „მსხვერპლს“. **ბაი—შვილი.**

წერილი რედ. მიმართ

დაბეჭდითებით ვთხოვ ყველა იმ პირთ. ვინც მოწმე იყო 1912 წ. 13 აპრილს მომხდარ ფათერაკისა როდესაც, ნაშუადღევის 2 საათზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტრამვაის ვაგონმა გამიტანა, გამოცხადდნენ სასამართლოს გამომძიებელთან, ქალ. ტფილისის პირველ სასამართლო ნაწილში, და შესაფერი ჩვენება მისცენ. **ივანე ანდრიასი.**

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთით უღრმესი მადლობა გადაუხადო ნ. ი. ავალიშვილს, რომელმაც ორმოც და ათი ცალი ქართული წიგნი შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ სკოლის მოწაფეებისთვის დასარიგებლად.

საგარეჯოს ორკლასიანი სკოლის **გამგე პ. წერქვაძე.**

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, პატივცემული გაზ. „სახალხო გაზეთის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ჭემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება აღმოუჩინეს ჩვენდამი რწმუნებულს, მათხოჯის უფასო წიგნთ-საკავ-სამკითხველოს: ბ. ბ. ლავრენტი ანტონის ძე ჩიმაგაძემ შემოსწირა რუსულ-ქართული წიგნები—33 მან. და 71 კაპეიკისა; ლონგინოზ ანტონის ძე ჩიმაგაძემ საკუთარი საშუალებიდან, თუ მეგობართა შორის შეგროვილი 50 მანეთი; კლასიონ მელაძემ—26 მან. და 50 კაპ., ვარლაამ დავითის ძე ძიძიგურმა—20 მანეთი; ერმინე ძიძიგურმა—20 მან., ლავრენტი ძიძიგურმა საკუთარი საშუალებიდან და ნაცნობთა შორის შეგროვილი—10 მან., ბესარიონ მიხეილის ძე დოჭვირმა ნაცნობთა შორის შეგროვილი 1 მ. და 20 კაპ., არსენ ალექსის ძე მელაძემ თავის ხელობით (დურგალია) შეგვეწია 3 მან., სპირიდონ კარსანიძემ 3 მან. ხელობით (მღებარია) და გიორგი ფარნაოზის ძე წივწივაძემ წიგნებით თუ ქართველ მწერალთა სურათებით—20 მან.

ამასთანავე ყოვლად გულ-წრფელად მივაქცევთ პატივცემულ მკითხველთა და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთა და გამომცემელთა ყურადღებას ჩვენი—მათხოჯის უფასო სამკითხველოს უმწეო ტ ბეჭავ მდგომარეობას, სადაც ვერ კმაყოფილდება სულიერი საზრდოს მძებნელი მკითხველი წიგნებ-გაზეთების უქონლობისა გამო (ეხლა მხოლოდ „სახალხო გაზეთი“ მოდის).

ყოველ-კვარი შეწირულება დიდის მადლობით მიიღება ამ მისამართით: **ხონი. ლავრენტი ანტონ. ჩიმაკაძე მათხოჯის სამკითხველოსათვის.**

პატივისცემით დავშთებით მათხოჯის უფასო წიგნთ-საკავ-სამკითხველოს გამგეობის წევრნი:

მღვ. ბ. ბარიონ ძელაძე, მღვ. იოსებ ჩინჩალაძე, ერმინე ძიძიგური.

„დიდ მადლობას სწირავს ჩემდამო რწმუნებულ დიდი-თონეთის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული და მრევლი კაპიტანს ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს მანუილოვს, ოლღა ივანეს ასულს და ელისაბედ ივანეს ასულს, რომლებმაც შემოსწირეს დიდი-თონეთის ეკლესიას ნივთეულობა ღირებული შვიდ თუმნამდინ.

დიდი-თონეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი **იოანე კახაია.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დროა აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე- , დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საავგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საავგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე-I კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 —III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 07, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 06, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საავგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფოსტო № 72|73, დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, ნაშუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. **ფრინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ჭალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკის მოედანზე.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და წერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის ავრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.55)

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთა და ბავშვთათვის. ჟურნალების მოწმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყიდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადაუხდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос- Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.1231.5)

იმერული შამპანიური ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კოლხიდა“ და „თამარა“
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგანტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**
ფასები 1—20 კ. 1 50 **მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37. 166.17)

ნებადართულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სამკურნალო საბჭოს მიერ საქმის № 9696 1907.

„სპერმატინ“-ი

ი. ნ. ივანოვის საფარმაცევტო ხელსაწყოს ლაბორატორიისა, მოსკოვში.

სპერმატინი შედგენილია ფრანგ პროფ, მაროუნსეკარისმიერ, იგი მოქმედებს სისხლის შემადგენლობაზე, აახლებს მას, მავნებელ ნაწილებიდან სწმენდს. **სპერმატინი** უბადლოა მოხუც. დაჩაჩანაკების დროს სისხლ-ნაკლებულ მძიმე ავადმყოფ., ნერვებ. აშლილ, გონებრივ და სხეულის მოქანცულ., სქესობრ. მოჭარბებულობას, ჯანის გატეხას, დამპალ ციების, ჩუკუნების შედეგის, ხერხ. ტვინ. გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნისა, წყალმანკისა, გულის ცემისა, შაქრის ავადმყ., ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაზბობისა.

ი. ნ. ივანოვს **სპერმატინისთვის** აურაცხელი სამადლობელი წერილი აქვს მიღებული. გაუფთხილდით სიყალბეს. ბროშურებს უფასოდ ვგზავნით. 1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტკ.—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში ერთად-ერთ წარმომადგენელთან ი. გ. ოქროპირიძესთან, ტფილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა № 6, ეზოში. (3—1286—1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება დრამატიული თხზულებანი:

ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ.	50	კ.	
ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ.	„	20	„
ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ. .	„	60	„
გაყრა, გ. ერისთავისა .	„	5	„
გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ.	„	25	„
გაღატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ.	„	10	„
დემონი. ოპერეტ. . .	„	50	„
დარბეულნი. დრ. 4 მოქ.	„	30	„
დრამ. თხზ. დ. ერისთავისა	„	1 მ.—	„
დაღი. დრ. 3 მოქ. . .	„	20	„
დრამ. ტ კომ., „სორაპ“ გამ.	„	1 მ.—	„
დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ნანუმა, მშვენიერი ელენეს მაძიებ., ოინბაზი . .	„	50	„
ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ.	„	35	„
თანამედროვე პიესები ს.-ტარ.: კოცნა პირვ. ტ უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი.	„	30	„
ილიას დღე ჰიათ. ტ ბატ. ტ ყმა		20	„
კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ.		50	„
მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ.	„	15	„
მტარვლის ბედი. დრ. მოქ.	„	10	„
მეგობრობა. დრ. 4 მოქ.	„	30	„
მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ.	„	40	„
მოლიერი. დრ. თხზ. . .	„	50	„
მარო. დრამის ნაწყვ. .	„	3	„
მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია. . . .	„	50	„
მეორე კაენი. დრ. 3 მოქ.	„	30	„
მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა	„	40	„
ნაძირალნი. გორკისა 4 მ.	„	25	„
ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ.	„	40	„
ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან.	„	25	„
ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ.	„	50	„
ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ.	„	40	„
პანთეონი ქართ. თ.: იჭვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია. .	„	30	„
რიჩარდ.	„	40	„
საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ.	„	25	„
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ. . .	„	10	„
სამშობლოს ბრუჯნი . .	„	10	„
სამეგრ. მთ. ლევან ვ. ყიფ.	„	40	„
უმარილის ბრალია. კ. 3 მ.	„	10	„
ფეიქრები. დრ. 5 მოქ. .	„	50	„
ქრისტინე. დრ. 5 მოქ. .	„	20	„
ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან.	„	20	„
ღალატი. ნათ. ყიფშიძისა	„	50	„
ღალატი. ნათ. ნ. ავალ.	1	25	„
ღალატი. ნათ. კ. მესხისა	„	25	„
ცოლი ვიტირო თუ ფული!?	„	15	„
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ.		30	„
წყურვილი. დრ. 3 მოქ.	„	30	„

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.49)

ჟურნალ-გაზეთების მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფიიფურისა და ფაიანრის ჭაშანური (ჭაშან) ჰურჯელი, საუცხოვო ბრალისა და მინის საჭონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჰურჯელეულობა. სამოვრები, ჟროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენეციური, მოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო ჯაფები, ინგლისისა და ვარშავრთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრაფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო, როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილობანი. ორთქლ-მრეცხავები (პარიკოკი) ახალის სისტემისა და საეკლესიო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა. გვაქვს წარმომადგენლობა: **საწერი მანქანა „ტორპედოსი“.** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.9)

ჭურჭელი

განცხადებანი

კუჭისა და ნაწლევების საეჭვო ტკივილები წლის დღევანდელ დროში ხდება ხოლმე ყოველ ნაბიჯზე, ამისათვის ყველა უნდა უფრთხილდებოდეს გადამდებ სნეულებას. როგორც ცნობილია, სნეულებისაგან გაფრთხილება უფრო ადვილია, ვიდრე მისი მორჩენა. საჭიროა, სხვა არა იყოს რა, ყოველთვის, ჭამის წინ, არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც უყოთ, რისთვისაც განსაკუთრებით კარგი აღმოჩნდა **„№ 4711 სამკურნალო საპონი“**, რომელიც გადამდებ ავადმყოფობის აშლას ხელს უშლის.

ნამდვილი ცნობები თუ როგორ უნდა იხმაროთ იგი (რუსულად და გერმანულად) დაბეჭდილია და თანა სდევს საპნის ყოველ ნაჭერს.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონს“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია) „№ 4711 მდოგვის საპონს“ და „№ 4711 სულემას საპონს“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში—ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს არის თავდები, რომ საპონი კარგი ღირსებისაა.

Метцъ. 184049. (4—1219—2)